PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯ "ოპიზარის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "სამკერვალო წარმოების"- მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

მანანა კობალაძე

თბილისი, 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური*

☐ არაგეგმიური

***მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„სამკერვალო წარმოება“	42*	14	-

*სტუდენტების ზღვრული რაოდენობა გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია 42-ით, თუმცა ტექნიკური უზუსტობის გამო მითითებული 42-ის ნაცვლად უნდა იყოს 28.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის პირველი აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი №653190), სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 დეკემბრის N1200417 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, ასევე დამატებით მოითხოვა საჭირო დოკუმენტები და მათი შესწავლაც მოახდინა. დისტანციური ვიზიტი განხორციელდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიმდინარე წლის 24 დეკემბერს. გასაუბრება წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად ***(იხ.დანართი 1- მონიტორინგის განრიგი).*** *გასაუბრება შედგა კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, შეხვედრის დროს მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ დამატების შესახებ) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“**, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც **„მეტწილად შესაბამისი“**.*

*მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტების და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „**სრულად შესაბამისი**“ და ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე **„სრული შესაბამისი“** ავტორიზაციის სტანდარტთან.*

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა დასკვნის ხარვეზი

ინდიკატორი 2.2.1.1

საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალით განსაზღვრული ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანის ნაცვლად დაწესებულების C გარემოში წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგებზე გასვლას. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ადრეც სურდათ უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანების შეძენა, მაგრამ COVID19 გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა შესყიდვების პროცესის განხორციელება, თუმცა მომწოდებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სასწავლო პროცესში აღნიშნული საკერავი მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) შეძლებენ საჭირო მანქანების შეძენას, რათა საფრთხე არ შეექმნეს პროგრამის განხორციელებას. **სტატუსი-შესრულებული.**

ინდიკატორი 4.1.1.3

დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციით - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - იკვეთება ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი. **სტატუსი-შესრულებული.**

ინდიკატორი 2.2.1.1; 2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ შეიძინოს დანართი №1-ით „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ განსაზღვრული, 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა დაწესებულების C გარემოში სასწავლო პროცესში მათი გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში). ამასთანავე, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტი (მისი მცირე სიმძლავრის გამო) ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, ასევე შესაძლებელი იქნება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ადგილზე, დაწესებულების C გარემოში გავლა. **სტატუსი-შესრულებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.4.2. რეკომენდაცია მიეცეთ დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები. განვითარების რეკომენდაციები წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 7/პუნქტი ი) (შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები) გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს ნაწილობრივ, კერძოდ სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს ინდიკატორებს და გახადოს გაზომვადი. **სტატუსი-შესრულებული.**

ინდიკატორი 2.4.2. რეკომენდაცია მიეცეთ მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში განხორციელდეს გასვლითი (რეგიონის გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ არსებობს ამის შესაძლებლობა. **სტატუსი-შესრულებული.**

ინდიკატორი 2.4.1.5 რეკომენდაცია მიეცეთ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განახორციელონ ცვლილება და მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ სწავლება დაიწყონ არა 39 კვირიდან, არამედ 1კვირიდან, რათა მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ დაწყებამდე მოხდეს მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა. **სტატუსი-შესრულებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულების გადაწყვეტილებით, მოდულის „რაოდენობრივი წიგნიერება“ სწავლება დაიწყება არა 39-ე კვირიდან, არამედ მე-13-ე კვირიდან, მოდულის „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება“ პარალელურად, რაც სავსებით შესაძლებელია და იგივე შედეგის მომცემია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/Basic Vocational Qualitification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის №24 ბრძანება, 29.05.2020 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	42 სტუდენტი, * მოდულური, ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №111
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114 კრედიტი

*სტუდენტების ზღვრული რაოდენობა გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია 42-ით, თუმცა ტექნიკური უზუსტობის გამო მითითებული 42-ის ნაცვლად უნდა იყოს 28.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამით „სამკერვალო წარმოება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ იქნა შემოწმებული შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცეები და მატერიალური რესურსი, პროგრამისათვის „სამკერვალო წარმოება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოყოფილია სამი საგანმანათლებლო სივრცე - A, C და B გარემო. C გარემოსთვის გამოყოფილი სივრცე აღჭურვილია 14 ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერვი მანქანით, ერთი საგამომჭრელო მაგიდითა და სკამებით. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩიეს, რომ შეეძინათ ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანები რის შედეგადაც, ასევე შესაძლებელი იქნება საწარმოო პრაქტიკის ადგილზე დაწესებულებაში გავლა, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა და ობიექტის სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეიძინა ზემოთაღნიშნული საწარმოო საკერავი მანქანები.

A გარემო მოწყობილია C გარემოსთან ახლოს, მასში განთავსებულია მაგიდები და მერხები 20 პროფესიული სტუდენტისთვის, აუდიტორიაში არის კომპიუტერი და პროექტორი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. რაც შეეხება B გარემოს,იგი სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2 საწარმოსთან: სამკერვალო სალონი „ახალი მოდა“ და „შპს მატერია“, მემორანდუმები გაფორმაბულია ამა წლის 5 მაისს და მოქმედებს 3 წლის ვადით. მხარეები ითანამშრომლებენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და განხორციელების მიმართულებით 3 მოდულის ფარგლებში: გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გადაწყვეტილებით განსაზღვრულია 42 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა მოსაზრებით ეს ტექნიკური ხარვეზია, რადგან წინა წარმოების დროს ექსპერტები არ ეთანხმებოდნენ 42 პროფესიული სტუდენტის მიღებას ამ პროგრამაზე, ეს საკითხი ასახულია 2020 წლის პირველი აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმშიც №653190 , და მიმდინარე წარმოების დროს გამართული გასაუბრების დროსაც დაზუსტდა, რომ დაწესებულება ერთ მიღებაზე აპირებს ორი ჯგუფის მიღებას. ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება 14 პროფესიული სტუდენტით, ანუ სულ დაწესებულება პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ მიიღებს 28 პროფესიულ სტუდენტს.

2. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 4 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. ექსპერტებმა დამატებით შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებელთ დატვირთვა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში არ აღემატება 40 საათს.

3. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაცია და მათი სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და გავლილი ტრენინგებით. დისტანციური ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება, როგორც სპეციალიზაციის ისე ზოგადი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან.
4. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება“ ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე 2 ხელმძღვანელი; მათი შერჩევა მოხდა შესაბამისი დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. დისტანციური ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს, შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადეს, რომ მათ აქვთ სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე აქვტ შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.
5. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში „სამკერვალო წარმოება“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროცესში; კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებობს წიგნადი ფონდი, რომელიც გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურას. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დისტანციური წარმოების დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ასევე დაათვალიერეს მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.

6. ექსპერტრთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით „სამკერვალო წარმოება“ გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათ აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, ამ წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას გონივრულ ვადებში შეადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად. ხარისხის მართვის მენეჯერი შეამოწმებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის (მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას.

დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ კოლეჯის ინფრასტრუქტურა. კოლეჯი უზრუნველყოფილია გარე პანდუსით და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს ექნებათ შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ბიუჯეტი, სადაც ასახულია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციის და სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურების ხარჯებს, პროფესიული განათლების მაწავლებლების ხელფასებს და სასწავლო მასალების ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/ მოდულები, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 24. 29.05.2020;
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 42 31.05.2019;
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ მისიით;
- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მიღება ჩაბარების აქტებით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ხელმძღვანელების პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დისტანციური ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1.მონიტორინგის განრიგი-გამოგზავნილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

29.01.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: